გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 192

2022 წლის 17 ოქტომბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2022 წლის პირველი მარტიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2022 წლის პირველი მარტიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებიტად შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2022 წლის პირველი მარტიდან განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს

2021 წლის 01 მარტიდან 2022 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით არსებული პერიოდის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

შესავალი.....3

1.1.ბიუჯეტი.....4–5

1.2.სახელმწიფო შესყიდვები.....5–6

1.3.სამართლებრივი საქმიანობა.....7

1.4.საქმისწარმოება 7

1.5.რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები.....8

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი 8

1.7.აღმზრდელობითი საქმიანობა..... 9

1.8.მატერიალური უზრუნველყოფა.....9–10

1.9.დასკვნა 10

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2022 წლის 01 მარტიდან 2022 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით არსებული პერიოდის საქმიანობის ანგარიშს.

ამ ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 63 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება, საიდანაც 44 დაწესებულება მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ხოლო 19 ქალაქ გორში.

გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბოშურის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ ადმინისტრაციულად გაერთიანებულია ატენის საბავშვო ბაგა-ბაღთან. ასევე ქალაქ გორში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას აღსაზრდელებისათვის.

1.1. ბიუჯეტი

1.1.1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დაზუსტებული ბიუჯეტი 2022 წელს შეადგენდა 9 646 942 ლარს. რომელიც განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება – 5 589 051 ლარი;

2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 889 400 ლარი;

3. დანამატი – 45 000 ლარი; (ბაგა–ბაღში დროებით მოვალეობის შემსრულებლებზე გაცემული სახელფასო დანამატი)

4. მივლინების ხარჯი – 1500 ლარი;

5. ოფისის ხარჯი –1 294 000 ლარი;

6. კვების ხარჯი – 1 204 084 ლარი;

7. სამედიცინო ხარჯი –20 907 ლარი;

8. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი –189 000 ლარი;

9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი –185 000 ლარი;

10. სოციალური უზრუნველყოფა –70 000 ლარი;

11. სხვა ხარჯები –4000 ლარი;

12. არაფინანსური აქტივების ზრდა –200 000 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვა 2022 წლის 01 სექტემბრამდე არსებულ პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახით:

1. შრომის ანაზღაურება – 2 700 482.47 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება –506 803.41 ლარი;
3. დანამატი – 24045.04 ლარი;
4. მივლინების ხარჯი –270 ლარი;
5. ოფისის ხარჯი –551 086.51 ლარი;
6. კვების ხარჯი – 714 508.64 ლარი;

7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 116 038.95 ლარი;
8. სამედიცინო ხარჯი –7729.25 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 109 758.35 ლარი;
10. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი – 66015.11 ლარი;
11. სხვა ხარჯები – 3504.20 ლარი;
12. არაფინანსური აქტივების ზრდა – 93673.98 ლარი.

1.2. სახელმწიფო შესყიდვები

1.2.1 საანგარიშო პერიოდში, 2022 წლის მარტიდან დღემდე საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 067 209 ლარი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"-ს რეკომენდაციების შესაბამისად, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ მოქმედ საბავშვო ბაგა-ბაღებში ჩატარდა წყლის ლაბორატორიული შემოწმება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 4 928 ლარი. შეძენილი იქნა დეზოქლორი 900 ლარის.

შეძენილი იქნა უკონტაქტო თერმომეტრები, ბახილები, სამედიცინო ხელთათმანები, თერმომეტრები,სპირტი,ბეტადინი,წყალბადის ზეჟანგი, ბინტი და ბამბა. აღნიშნული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 18 100 ლარი.

სააგენტომ ბაგა-ბაღებისთვის სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძინა მაღალი ხარისხის ჰიგიენის საშუალებები, აგრეთვე სარეცხი და საპრიალებელი პროდუქცია 62 757 ლარის ოდენობის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეძენილი იქნა ერთეული ელექტრო ქურები ,გამწოვი ვენტილიატორები და თერმექსები 28 876 ლარის.

შეძენილ იქნა სააგენტოს ვებგვერდის რედაქტირების მომსახურება 1500 ლარი

მოხდა გათბობის ქვაბის გამოცვლა კარალეთის №2 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში 1750 ლარი.

სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მოხდა 152 748 ღირებულების ავეჯის შესყიდვა.

საანგარიშო განმავლობაში , აღმზრდელობითი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით,

მოხდა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ხალიჩების რეცხვის მომსახურების შესყიდვა 2593,5 ლარი .

სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მოხდა ელექტრო და სანტექნიკური მოწყობილებების (აქსესუარების) შესყიდვა 30 570 ლარი. სხვადასხვა ფერის საღებავების შესყიდვა 4068 ლარი.ასევე ელექტო სასწორების შეძენა 1300 ლარის.წყლის ავზის 730 ლარი.უსადენო ზარების შესყიდვა 859

მოხდა მცირე სატვირთო ავტომობილის შესყიდვა ,რომლის ღირებიულაბამ შეადგინა 28 448 ლარი

გორის მუნიციციპალიტეტის №3 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებისთვის ვერტიკალური ფარდა ჟალუზების შესყიდვა 6 885 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მოხდა სხვადასხვა საოჯახო ნივთების, (ცოცხები, აქანდაზები დ ა,შ.) 15949ლარის ღირებულების შეძენა.

მოხდა საწვავი ბენზინის შესყიდვა 1173 ლარის, ასევე მოხდა საწვავი დიზელის შეძენა თანხით 6045 ლარი.

შეძენილი იქნა A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის შეძენა 4 245 ლარის.

მოხდა სატრენინგო მომსახურების შესყიდვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის #68/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული"-ს შესაბამისად კურსის ჩასატარებლად. 39600 ლარი.

ტრენინგის მონაწილეების კვებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება 15 000 ლარი.

1.2.2. საერთო ჯამში სხვადასხვა მომსახურებების საერთო ღირებულებამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვით შეადგინა 129 777 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ღირებულებამ 23 344 ლარი, ხოლო ელექტრონული ტენდერის ფარგლებში (აუქციონის გარეშე) 1 487 822 ლარი. გარდა ზემოაღნიშნულისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში სააგენტოს მიერ გაფორმდა 57 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 11 შესყიდვა და გაფორმდა 33 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ფარგლებში.

1.3. სამართლებრივი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა საბავშვო ბაგა-ბაღების ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების სამართლებრივი პროცედურების მოგვარება. გარდა ამისა მოხდა, ალტერნატიული ფართების ქირავნობის ხელშეკრულებების გაგრძელება სოფელ ზერტის, საქაშეთის, ქალაქ გორის N1, N2, N7 და N18 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ფუქნციონირების მიზნით. მომზადდა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები სააგენტოს ადმინისტრაციასა და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების შტატგარეშე მოსამსახურეებთან შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სხვადასხვა კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სხვადასხვა კომპანიას პირსაგამტეხლოს სახით დაეკისრა ჯარიმა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საანაგრიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს იურისტების წარმოებაში იყო ორი სასამართლო საქმე, რომლიდანაც ერთი დასრულდა, ხოლო დანარჩენი ერთი საქმე კვლავ განხილვის ეტაპზეა.

1.4. საქმისწარმოება

სააგენტო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოსულია 3 წერილი, რომელიც დაკმაყოფილდა და კანონით დადგენილი წესით მოხდა საჯარო ინფორმაციის გაცემა. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული არც ერთი განცხადება არ გასაჩივრებულა. სააგენტო მომავალშიც მზადაა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის შეუფერხებელი გაცემა.

გარდა ამისა აღსანიშნავია, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში სანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულია 3936 განცხადება თუ სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, ხოლო გასული წერილების რაოდენობა შეადგენს 232–ს.

1.5. რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები

2022 წელს დამთავრდა ქ.გორის N3 ბაღის მშენებლობა კომბინატის დასახლებაში, რომელიც აღიჭურვა ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავეჯით, ჭურჭელით, ტექნიკით და სხვადასხვა აუცილებელი და საჭირო ინვენტარით და ნივთებით.

დამთავრდა სოფ. მეჯვრისხევის, სოფ, ხელთუბნის და სოფ. მეღვრეკისის ბაღების მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს ამ საბავშვო ბაღების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით: ავეჯით, ჭურჭელით, ტექნიკით, სათამაშოებით და სხვადასხვა აუცილებელი ინვენტარით და ნივთებით. ეს ბაღები გაიხსენება უმოკლეს ვადაში.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო იხდის 7 (შვიდი) სკოლამდელი დაწესებულების (სოფელი საქაშეთი, ზერტი, მეჯვრისხევი, ქალაქ გორის N1, N2, N7 და N18 დაწესებულებები) ქირის გადასახადს, რომელიც ფუნქციონირებს ალტერნატიულ ფართში.

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილია საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციები შეადგენდა საბავშვო ბაგა–ბაღების კონტროლს ყველა მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა ყველა საბავშვო ბაგა–ბაღში, სადაც გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები, კვების, სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის, აღმზრდელობითი და მეთოდური მიმართულებით.

1.7. აღმზრდელობითი საქმიანობა

სააგენტოს მეთოდისტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ, საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან. საბავშო ბაღების საქმიანობა,მხოლოდ სააღმზრდელო კი არა ,საგანმანათლებლოცაა. ამიტომ, თითოეული ჩვენთაგანი აქტიურად ვმუშაობთ ბაღებში აღმზრდელებთან. ვმონაწილეობთ ბაღებისა და ჯგუფების სივრცეების მოწყობაში, ასევე სააღმზრდელო გეგმების შედგენაში სასწავლო სააღმზრდელო პროცესი არის ინკლუზიური .

აღსაზრდელებთან მუშაობენ ასევე, ფსიქოლოგები, სპეც.მასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტები, რომლებიც ზრუნავენ ბავშვების გონებრივ, ფიზიკურ, ესთეთიკურ, სოციალურ , ემოციურ განვითარებაზე.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს აღმზრდელების გადამზადება პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად ,მოდულით - ,, აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტი'', რომელიც მოიცავს 66 აკადემიურ საათს.

ამავე პერიოდში ოცდაათმა ამღზრდელმა გაიარა -,, სოც.ემოციური უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგი''.

გორის მუნიციპალიტეტის მე-15 და მე-19 ბაღები ჩართულია საპილოტე პროგრამაში -**GCRT** -ის მიერ ,, **პოზიტიური მშობლობა''.**

სექტემრის თვეში **unicef-** ის პროექტით გადამზადდა სხადასხვა ბაღების 45 თანამშრობელი . (აღმზრდელი , ინდ.ასისტენტი , სპეც. მასწავლებელი , მეთოდისტები)- ,, ადრეული ინკლუზიური განათლება ''- 66 საათიანი ტრენინგ მოდული.

1.8. მატერიალური უზრუნველყოფა

2022 წლის მარტის თვიდან ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ, გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებს მიეწოდათ საკანცელარიო, ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებები. პარალელურად მიმდინარეობდა სანტექნიკური და სადურგლო სამუშაოების შესრულება: საბავშვო ბაღებში წყლის მილების, ცივი და ცხელი წყლის ონკანების, ნიჟარის სიფონების, წყლის მოტორების, უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმების, წყლის ტუმბოს ტვინის გოფრირებული მილების შეცვლა–შეკეთება, აგრეთვე დენის ავტომატების შეცვლა– შეკეთება, გაზის ონკანების დაყენება, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწესრიგება,წყლის დენის

გამაცხელებლის დაყენება, ნიჟარების დაყენება, შეკეთდა კარადები, სკამები, საწოლები, შეკეთდა ხის და მეტალოპლასტმასის კარფანჯრის სახელურები და ანჯამები, მოწესრიგდა ელექტრო სადენები, პლაფონები). 2022 წლის მარტიდან დღემდე ისევ მიმდინარეობს სანტექნიკური და სადურგლო სამუშაოები.

2022 წელს აპრილის თვეში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. განმეორებით აგვისტოს თვეში ჩატარდა ყველა საჯარო დაწესებულებაში სადეზინფექციო სამუშაოები რათა მზადყოფნაში იყოს ყველა ბაღი აღსაზრდელების მისაღებად. ასევე ბაგა–ბაღებს მიეწოდათ დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარი, ტაბლეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

დაგეგმილია რამდენიმე საბავშვო ბაგა–ბაღი მოვამარაგოთ ავეჯით, სათამაშოებით, ჭურჭელით, ელექტროქურებით, საჭირო საკანცელარიო საშუალებებით, ჰიგიენური საშუალებებით და სხვა ინვენტარით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სააღმზრდელო დაწესებულებებში სწავლის უწყვეტი და შეუფერხებელი პროცესი.

1.9. დასკვნა

მიუხედავად პანდემიისგან გამოწვეული საყოველთაოდ რთული ვითარებისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში საგრძნობლად გაუმჯობესებულია ვითარება კვების, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, აღმზრდელობითი საქმიანობის და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის თვალსაზრისით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გორის მუნიციპალიტეტში არსებულმა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებმა დააკმაყოფილონ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, მათ შორის ავტორიზაციის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ აღსაზრდელებმა მიიღონ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია განათლებული და ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.